დადგენილება N20/2026 „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საორკესტრო სიმებიანი საკრავების/ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების, აკადემიური გუნდის დირიჟორობის, საოპერო მომზადებისა და სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებებზე კონცერტმაისტერების (კორეპეტიტორების) სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 იანვრის № 01/2022 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება N 20/2026

თარიღი: 20 მაისი, 2026 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტისა და კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 20 მაისის № 05 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საორკესტრო სიმებიანი საკრავების/ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების, აკადემიური გუნდის დირიჟორობის, საოპერო მომზადებისა და სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულებებზე კონცერტმაისტერების (კორეპეტიტორების) სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 იანვრის № 01/2022 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1–ის (სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესი) მე–2 მუხლის მე–5 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5. კონცერტმაისტერები (კორეპეტიტორები), რომელთაც კონსერვატორიაში აღნიშნული თანამდებობა კონკურსის წესით აქვთ დაკავებული, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ უფლებამოსილების განხორციელებას აგრძელებენ იმავე ვადით, დამატებითი კონკურსის გავლის გარეშე.

კონცერტმაისტერის (კორეპეტიტორის) თანამდებობაზე ახალი პირის არჩევა, საშემსრულებლო ფაკულტეტის დებულებისა და ამ წესის შესაბამისად ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე.“.

2. აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

6. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი